

F 15
1909

1909 წ. გამოც. 8.

ფასი ყველან 10



ალმანახი გამოცის მაჟინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამოცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типография Т-ва «Шрома»
для Алманаха.

F 1197



კარლო ჩხეიძე და გეგეჭიკონი, დუმაში მივლენ, რომ მოსპონს ჭორი. (ი. მე-4 გვ.)

ა მ ი რ ე ა კ ვ ე ს ე ს ი .

საღამო არის.

ცა უღრუბლო მოწმენდილა,

მაგრამ არსალ ჩანს

დამის მნათი პირბადრი მოვარე,

მხოლოდ კაშკაში

ვარსკვლავები დაციმციმებენ,

საზარი ბნელით

მოცულია მთლად არე-მარე.

დიდი ქალაქი

ელექტრონით განათებული,

ისევ მოძრაობს,

სავსე არის ხალხით ქუჩები,

აქ „განცხომის ძე“

დასეირნობს გულ-მხიარული,

იქ მძიმე ტვირთს ქვეშ

მწარეო კვნესენ „შრომის შეილები“.

ჩუ! დიდ დარბაზში

როიალმა დაიგრიალა...

ჩუ! ქოხებიდან

გამოისმა გლოვისა ზარი:

იქ იმ დარბაზში

ნეტარება გამეფებულა

აქ ამ ქოხებში—

გაჭირვება გულ შესაზარი!

ჰოი, ცხოვრებავ,

უკუღმართო, დაუნდობელო,

როდემდის უნდა

იმტარვალო ისე, ამგვარით,

ერთი ახარო,

ანეტარო, ამხიარულო,

ათასი სტანჯო,

ცხარე ცრემლი ადინო ღვარათ?!

3. რუხაძე.

კითხვა-შასუხები.

კითხვა 1.

თქვენო მალილ ყოვლად უსამღვდელოებავ, ლირსო მამაო, ეშმაკო!

მრევლისა და კრებულისაგან განდევნილი მონა შენი, მოგმართავ შენ გულ-წრფელი თხოვნით, ყოველთა გულთა მხილაო და გვევერები მამცნ: მრევლისა და კრებულისაგან განდევნილ განრისებული იგერ ათი წელიწადი დავქრივდი გაუფრთხილებისა ჩემისა გამო. პირველი ცოლისაგან დამრჩა მხოლოდ 13 შეილი, რომელთაგან თერთმეტი მხევალია, ხოლო ორი მონა უფლისა. მიუხედავათ ამისა ძლიერ დამწუხრებულ არს გული ჩემი განრისებული მრევლისა და კრებულისაგან. მაქვს თუ არა უფლება, ყოვლად სახიერო, კვალად წარვსდგე წინაშე უფლისა მხევალითა მარცხნით ჩემისა მდგომარითა და ქორწინებითა ამით განვამხიარულო მრევლისა და კრებულისაგან განრჩეს გული ჩემი.

მოძღვარი უგრეველის წმინდის ანთომზის ექლესის და მონა შენი კვითი დიპლაზორობი.

პასუხი.

ლირსეული შვილო ჩემო, ლირსო მამაო კვითი კიბრატორი!

მძიმე არს მდგომარეობა შენი მრევალისა და კრებულისაგან განრისებულისა, თანაც ქვრივისა და წვრალ-შეილისა. მაგრამ სახიერო შვილო ჩემო მე არა მაქვს საშვალება დავეხმარო გასაჭირისა შენსა. ხოლო მიგასწავლი ვექილისა „მანდარინისა“ მიმართ, რომელი განაგებს საქმეთა ამის მაგვართა.

მარადის შენი მშვაკი.

კითხვა 2.

თქვენო მალილ-კეთილშობილებავ ბ. 5 ნ ე შმაკო!

მაქვს პატივი მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა გასაჭირისა შესახებ ჩემისა. მათა ჩემთა გამრისხეს და უმადურია მთავრობამაც სამართალში მიმცა თითქო უფლებათა გადაჭარბებისათვის.

თქვენო აღმატებულებავ! მე არა მყავს მადლიერი არც გლეხი, არც აზაური არცა სამღვდელო და შით უმეტეს არცა მუშათა პროლეტარიატი. ვვრძნობ თავსა ჩემსა უწმინდეს ყოველთა ბოქაულთა, მაგრამ მაქვს აგრეთვე მცირედი მოღვაწეობაცა, რომელსაც დღეს დანაშაულში მითვლიან. გთხოვთ მომისმინოთ თქვენო აღმატებულებავ და წამალი დამლოთ. მყავს დაკარგული არა უმეტეს 360 კაცისა, მოკლული მხოლოდ 18 კაცი; ქრიაზი ამილია სულ უმნიშვნელო,— ორმოცი ათასი ქანქარი; დამიწვავს 70-მდე სახლი; გამიუპატიურებია სულ რაღაც 6 ქალი (ამათში ერთი 80 წლისაც), დამიხრჩია სამი უკანონო ბავშვი, მომიპარავს. 27 ცხენი (ერთი თვით გუბერნატორისათვისაც) გამიკეთებია არა უმეტეს 600 პოდლობისა, შემიჭამია 12000 მ. საზოგადო ფული და სხვ. და სხ. და სხ. აი ამ უბრალო საქმებში მთავრობამ დაინახა უფლებათა გადაჭარბება და მომელის სკომი დამნაშავისა. მუხლ-მოდრეკითა გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ შევიდეთ ჩენს უდანაშაულობაში და დაგვითაროთ მოსალოდნელი მსჯავრისაგან.

ხრაგულეთის უჩატკის ბოქაული გიორგი პირზავიანი.

პასუხი:

ძვირფასო ბოქაულო, გიორგი პირზავიანი!

მესმის თქვენი გაჭივრებული მდგომარეობა და იგრეოვე სრული თქვენი უდანაშაულობა, მაგრამ შე ბედზეს არ ძალის გამოვიწოდოთ თქვენ ხელი დამბარებისა. მე შემიძლია მოღლოდ მიგასწავლო ჩენს ძვირფასო მეგობარსა და განსაღებრათ... როდის ელირსებათ ხელია-

წავლულ ვექილ გიორგი გადახასაბრძანებელი თუ ლომი არ გიჭამიათ ერთათ, სახელის მოზიარენი მაინცა ხართ და უბრალოთ არავის დააჩაგვრინებს თქვენს თავს.

მარადის თქვენი მშვაკი.



ცისქარს.

იყო ღამე უმთვარო, წყვდიადი სამწუხარო, შენ კი, სატრფოვ გულისა, მთის გადალმა თუ ხარო!

თითქოს ჩემი ისმინა, ცის ძრს ნაზათ შესცინა და მყის უაბლა წყვდიადმა საზარლად დაიგმინა!

შენ, სინათლევ, რის ხარო? მითხარი, თუ მზის ხარო! მე შენ გეტრფი, შენ გეტრფი, მშვენიერო ცისკარო!..

თითქოს—„დიახ, დიახ!“ ცის ფრთა უფრო შეახო. მაში, ათროოლ-აკანკალდი, უკუნეოთის წიალო!

ცის კიდე ატკერცოდა, მთის სპეკალი ეწოდა, და ირგვლივ დილის პირის ურიაშული ისმოდა!

ცის კიდე ისარო! სხივ, მართლა მზის ხარო? მე შენ გეტრფი, შენ გეტრფი, მშვენიერო ცისკარო!..

6. ზომლეთელი.

მოსხენება თუილისიდან.

საზოგადოთ ცნობილია, რომ მიძინება შეფერის მას, ვინც ასე თუ ისე კამაყოფილია თავისი ცხოვრებით. მაგრამ არსებული წესი კამაყოფილს ახტუნავებს და უქმაყოფილს მიაძინებს. და აი, დაგიფიცავთ ტარტარობს, სრულებით არ არიან კამაყოფილნი თამბაქის ფაბრიკის მუშები, — მაგრამ მათ მაინც მიიძინეს „ძილითა მართლისათა“. მიიძინეს და კავშირმაც მათმა განუტევება სული... განუტევა მშვიდათ, წყნარათ, ყველასაგან გაუგებრათ... როდის ელირსებათ ხელია-



ლი გამოლვიძება აღნიშნულ მუშებს, როდის მიხედვით დანაკარგის საჭიროებას, ეს აღბათ ხაზენისა და ეშმაკის მათრახის მოქმედებით განისაზღვრება.

* * *

მანამდი კი აუცილებლად უნდა გაგაცნოთ ის წერილი, რომელიც თვითილის რკინის გზის დეპოდან მრვილე...

„ჩვენი დეპოს ტრკები ისე გატაცებულნი არიან აკორდით, რომ გარეშე იმისა აღარაფერი ახსოვთ; არ უჯერებენ მუშების არც წინადადებას, არც რჩევას და კვლავ განაგრძობენ ამ სასახლო საქმეს. ამიტომ, გვიშველე რამე, თუ „ეშმაკი“ არა, შენ მაინც აუცილებლათ მოდი, მათრახით თანა და დატრიალდი ყოჩადათო“.

დეპოს სიამოვნებით!

* *

დიახ, დეპოს საქმეს როგორც იქნება მოვაწყობთ, მაგრამ სად ვნახო ნეტავი ის შანტისტ... უკაცრავათ, არტისტები, რომლებიც გასულ ხუმშაბათს „რენესანსის“ თეატრში თამაშობენ „მშვენიერ პიესას“, „არსებობისათვის ბრძოლა“-ს, რომლის წარმოდგენის ნებას, მართალია ავტორი არა რთავს (იხ. „ჩვენი ხმა“), მაგრამ ეს დალოცვილები, „რაც უნდა ცუდი ამინდი იქნეს“, მაინც თამაშობენ. სად ვნახო მათი „რეისიორი“, ბ. კონსტანტინე მჭედლიშვილი, განთქმული შანტისტი... უკაცრავათ, არტისტი და სხვანი და სხვანი, რომ იმ სიყალისათვის, რომელსაც ისინი არა თუ ეხლა, არამედ დიდი ხანია, ჩადიან, ზურგი ზორბათ აუცხელონ? მაგრამ, არაფერია!

არა არის ბოროტება,
რომელიცა დაიფაროს,
არ იქნების დამნაშავე—
ამ ჩვენ მათრახს დაემალოს...

* *

რაკი არტისტებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთს ვიკითხავ: რა ემართება ნეტავი ჩვენი სახალხო სცენის მოყვარეთა დასს, რომ ამ ბოლოს მთლად მიიძინეს?. ამ დალოცვილებმა „სადლეგრძელოთი“ დაიწყეს და შესანდობრით ათავებენ!.. არა, ამას ნუ იზამთ, ბატონებო, თორემ... თორემ... თორემ, რა—სირცევილია!..

მათრახს არ გაადრებთ ჯერ-ჯერობით, მაგრამ თუ საქმე არ გააუმჯობესეთ, მაშინ ვერც ამის პირობას მოვცემთ...

ვაშ, ფრთხილათ! მეტი ცდა და დაკვირვება!!.

ეშმაკის მოციქული.

შეიტვნო.

(ს. ქვარიანის მეთასწორ მოლვაწეობის უყურადლებობის გამო.)

ექს-ისტორიკოსს, ეშმაკო,
ცოტა რამ დავიწყებია,
ქვარიოსანზე წერისას
მგონი მასალა კლებია.

რათ არ ახსენა მგოსანის
დიდათ ცნობილი „სიმები“,
ან „ანექლინა“... ქართველის
ხალათში ჩანაძინები?..

რათ დაივიწყა „ვიზიტი“,
ფშვიად ნატაშას ლოგინი?
უტანსაცმელო ქალები,
ან კიდევ ბულბულთ სლოკინი?“

ეშმაკუნა.

გარეთ ქახელი გლეხები.
(სცენა ავლაბრის მოედანზე).

პირ. გლეხი, გამარჯობა სოსი!

შეორ. გლეხი. გაგიმარჯოს თედო! კაი ხანია ქალაქში იდგომილები, ერთი კვირა სოფელში ვერა გხედამ.

პირებელი. ერთი კვირეა ძმაო; შენ როდის ჩამოხველ.

შეორ. მენა? მე დღეს:

პირებელი. კაცო! მართლა მოვივიდენ რა-დაც პროტიგმენიცა ტარშინები?

გ. მოვიდენ ძმაო და მანგრე?!!! რაც ნამამასახლის ნაგზირალები იყვენ სულ ერთად შეეგებენ, ცათა ფრენას მოვიდენ- ნასალდაპრები ზომ ჰაპ-ჰაპ, ე ჰე ჰეე!

პ. მაშ წამოყვეს ფეხები მევახშე მევახშეებმა არა?

გ. პაი პაი რომ წამოყვეს. ჯერ გარეთაც არ გამოდიოდა, მაგრამა მოვიდენ ზევ-ჩოხიანი პამ-ბულები და მოახსენეს; მშვიდობა იყოს კნიაზო შენი აქ მორძანებაო და მუჭა-მუჭა იპპოლი-ტელი ლიპტები გადასცეს. იმანაც გადისო ულვაშებზე ხელი...

პ. აკი თავდაბალი კაციაო!

გ. თავმდაბალია მა რა! აი ი ლიპტები სულ მან უნდა ჰერიბოს.

პ. საქმეს მოვლა უნდა ძმაო, მოვლა!

გ. მოვლა კი არა და მეტიც. მაგრამ რაღას მოუღლი... თუ რამე თქვი ვი შენ, თუ არ თქვი მაშინაც ვაი შენ. ცოტა თუ მიგამსგაეს ერთობის ღროისას, ჭახ, ჭუხ, ბრააა, ბრუხ...

პირ. ხარჯებაცა ჰკრეფამენ?

შეორ. კრეფამენ მა? კრეფამენ კი არა იტაცებენ. ისეთი წიგილ-კივილია პატარძლებისა, რომ აღა ხანს მოეწონება.

პირ. მე გამოვიპარე იცი? ე ოსერი ერთი ბოკა ღვინო ჩამოვიტანე: გავყიდო, ხარჯებს მიკუმ მეთქი; შენც არ მამიკედე. საცა დავდგი ვნახოთ ხან ვინ მიშლის, ხან ვინ. ე ოხრის ტიალმა გარადოებმა ხომ სულ ძალა წილებს. მოვა ყანყრატოხე წყიპტურტს დაიკრამენ ხოლმე. ვითომაო და უდვინობით ვიხოცებით.

შეორ. ოოჭ ეგ სამგლეები!

პირებელი. ეგ კიდევ რა ძმაო. მივედი იმ ეშმაკ გამწყრალ საგაჭრო პოლიციაში, ვიდაც აზღურინც ეკია და შეეთხოვე: გამაყიდინე ეგ საოხრე ღვინო ან ბაკებში ან მოედანზე მეთქი.

კარგიო ან ხარებ შებმული ტრენის ფლეჭენის ისეიონე, გამოხსნა არ შეიძლება. ავდექი და მეც ოთხი უჩაშტრა მოვატარე ამ ერთ ბოჭკა ღვინოს და ჯერა-ც ნახევარი არ გამიყიდა.

შეორ. კაც მერმე და გოროდის უპრავლენაში ვერ მიღი?

პირ. პაი რომ მივედი და ა-შენოს ღმერთი, მითხვეს: წალი ძმაო ივარე არხენიათ. ასლა თუ იმ ქერა გოროდოვების გადური ხარჯებში პირნათლათ გამოვალ იმ ახალ პროგრამელიც ტარშინასთან.

შეორ. რაღას გამოხველ ძმაო. რაც რომ იყო შინ ყველაფერი წალეს: ქვაბი არ დაუტოვებიათ და ლოგინი.

პირ. კიდენ გარგია ცემას გადავრჩი. მშვიდობით.

(მოდის მესამე გლეხი)

შესამ. თედო. თედო! მოიცა ბიჭო!

პირ. ბიჭო?

შესამ. შენი ბოჭკა ღვინო რომ გქანდა ბაკებში ყოლობინდნა და ერა გოროდოვები დაგიბეტლა. გაყიდვაც აგვიკრძალეს, მოწმობაც წაიღეს.

შეორ. აი ასლა ა-შენდა ჩვენი ოჯახი.

ჩაქუჩი.

გ ი რ ი თ ნ ე ბ ი

ვაი-ვაგლახითა სძლებს ვინც რომ შეჩერულია, თორებ ჩვენი ხელობა ღვთისაგან წყეულია!

უყურებ რომ ქვეითა შემოვიდა მუშტარი, რა მოეკიდა ღვინო, ითამაშა „შუშტარი!“

ის მაგინებს ვისგანაც არაფერი მწყენია! მოდი და აიტანე, განა მოსათმენია?

ხედავ, თავზე გადგება, ვიღეცადა ღვინო, რომ გაიგებ ყოველი, უგოროცკი აგნტი, „

ლუკმა მწარდება პირში, თავზე მესხება რეტი, ფულებს რაში თხოულობს? უსინდოსობა მეტი!

ეს „ნალოგი“ და ესეც — „სერენი აქციზისო!“ ვეტყვი რასმე, იძახის: „ჩვენც გალავა გვიზისო!“

კაცო, თუ გალავა ქვეყნის საქმეს კისრულობს, რატომ სწორეთ არ ფიქრობს, რატომ არა კითხულობს საიდან შევიტანოთ, ამოდენა ფულები? ბარებ მოვიდეს რაღა, ამოგვართოს სულები!

მოჯამაგირეები... დავიმოკლებ ენასა! სათქმელი თუ ბევრია, ვერიდები წყენასა!*)

გ. ლელაშვილი.

*) ეშმაკის მათრახისა ზურგშედა გარბენასა. ეშმაკი.



C.C.

მოსალოდნელი სცენა ქართულ თეატრში.

თქვენ, ტაძარი ხელოვნების,
სამიკიტნოთ გირდაპქენით!
და გაძარცვეთ ჩვენი სცენა
შურითა და მწარე ენით.

გურული სცენა.

— რა იყო ნიკოლა წუხელის წინ
დამით რაცხა სინათლე რომ იყო თბილ-
გეთისკენ? კირილოვი ხმა არ მოსული
ისთევლე თავის ჯარით?

— არა ძმა კირილოვი კი არ მოსუ-
ლა, მარა მისმა დატოვებულმა რეკვი-
დაასწრო ლამპრობას და ქვე გადაანათა
მისი საკუთარი ქუხნა ჩვენმა ნიკოლი.

— რეიზა ქნა ნეტა თუ იცი, დასტუ-
ხული ქონდა თუ ქლექიანი ეწვა შით?

— რა ვიცი რა იყო? თუ გინდა ვი-
ცოდე ქვე მეშინია; თქმას ისე აგი კი იყო
რომ მორე დღეს ჩამევიდა თვითან
ღუბერნატორი — თურმე ნიკოლი მოახ-
სენა ჩემი დიდი ოდა დამიწვეს, ქალ-ბა-
ლანის გამოწვაც უნდოდენო, მემტერე-
ბიანო, მარა ქვე ჩურვარდა ნიკოლის
კომპი ნაცარში. — ასე ჩივიან: თვითონ
მას აძლევენ პასუდშიო.

— ნეტა რეიზა ქნა იმ დასტურ და-
საწვავ-დასადაგავმა, საკუთარი სახლი
რაფერ გეიმეტა დასაწვავათ?

— დამეთხოვე ჩემი ძამიერი ნუ მალა-
პარაკებ, თვარა თუ რამე მინახეს დასაწ-
ვავი მეც არ დამზოგავენ. იმიზა დაწვა
თურმე, რომ ამით უნდოდა მისი წამხთა-
რი საქმის გამობრუნება. იფიქრა თბილ-

გლებს ექვსი ათას მანათს გამოიყენები
ლიებ, ფულსაც ევილებ და მისი შერე-
ცველის მოწმობიდან გამოვყრიო.

— რაის მოწმობიდან კაცი რას ჩივი?

— რაის მოწმობიდან და უჩივლეს მიაკ
უჩივლეს; ადულდა ძველი ცოდეა, თუ-
ფინდა, ჩვენ რომ კაცი ვყოფილიყვავით
იგი ვეოც ამდენხანს იბლაუნებდა, მა-
რა რას იქ, ნიკოლი ერთია, ნიკოლისტე-
ბი, მასავით თავსხლათ დასხმულები ათა-
სია — მარა ნუ გეშინია ადრე ატებილი,
ჭირისუფალი ადრე გადიგლოვს. რამდ-
ნიც უნდა ექვილასინ ჩედაქციონერებში
აწი ქვეყანის უკან ველარ მუაბრუნებენ,
წყალს აღმა ვერ წეიყვანებენ. ჩვენც ქა
გავაკყირდეთ თვალი. ახლა აგერ გიმნა-
ზის გახსნას ვაპირებთ თბილებეთში, მო-
რე აფთეეც გვექნება, რაცხა უცხენო
დილიქინია იგიც იარს.

— შაქარი შენ პირს — გენაცვალე ყია-
ში, მაგას რა ჯობია კაი კლასი თუ
გეიხსნება თელი გურია შეგეწევით,
ცველის წაგვადგება მარა რაცხა მე-
ჩიოთირება, სინათლეს ბევრი მტერი ყის
ვინცხა, ვინცხა რაცხაც შევიტყვე დაძრე-
ბიან და ქადაგებენ არ გაბრიყვდეთ არ
გინდებიან გიმნაზია, დეილუპებით.

— ნუ გეშინია, ჩვენი ახალი უპრაგა
ისთვე ცდილობს, უსათუოთ კი გაძექეთებს
რაცხა კას, იგინი რა საშიშია თუ შეიტ-
ყო ეშმაქმა იგინს ცველის ეშმაქის მათ-
რაში ჩაიკარტიჩებს და მათრახის ცემით
ზურგს უუკრელებს. დივეთხოვთ ამ აშ-
ბაგს წამოი კრებაზე დღეს გიმნაზიის გა-
ხსნაზე იქნება ლაპარაკი და ერთო დერი
სიტყვაი შენც შეაწიე.

ლევანი.

დუბისაძმი!

(იხ. სურათი 1-ლ გვერდზე).

კარლო ჩეიიდე და გეგექიორი,
პურიშეების რომ მოსპონ კორი
(შესახებ სეავთა ლმობიერების
და ყვავ-ყორანთა გონიერების,
შესახებ მათი კეთილ-სულობის
და წითელ ქურქით გამოსულობის,
თუნდაც შესახებ მცირე ერების
მათგან მინაძლვენ ბეღნიერების)
დუმისკენ მძიმეთ, ტაჭას დატვირთულს
მიაგორებენ, თითო თითეულს.
მძიმეა ტვირთი... მოხრილან წელში!
(ბევრნი წაიქცენ ამგვარს ულელში!
მაგრამ არ დრეკება იმათი გული
კირში განაწილობ-გამოჩარხული!
მიდიან მედგრულ შეუდრეველათ,
(ვით წინა პარნი ვიდოდენ ძველით)

ჯარა.

ქართველი მოდებაწები.

პატიცემული მკონველნო!

დარწმუნებული ვარ, თქვენ სულიც არ შედიხართ ჩვენს მდგომარეობაში და ნაწარმოებთა დაფასების დროს ერთობ ცალ-მხრივათ მსჯელობთ. ავილოთ თუნდა დღე-ვანდელი ტემა ჩვენი საუბრისა ბ-ნი არ-თმელაძე. ის თითონ უწოდებს თავის თავს „კია ლუასა“ და „ფუსუნსალას.“ ახლა მოდით თქვენ და გამოიკვლიეთ ჯერ-ვანათ ცხოვრება-მოლგაწეობა ყოველთა ჭია-ლუათა და ფუსუნსალათა. დამიჯე-რებთ ეს ძნელი საქმეა და თუ არ დამი-ჯერებთ უმორჩილესად გთხოვთ წაიკით-ხოთ ის საპრემიო სიბერივ ადამიანის გო-ნებისა, რომელსაც „სოფლელზალხან საუბარი“ ეწოდება და რომელიც ტიპი-ური ნაწარმოებია ტ. ართმელაძის ფუ-სუნსალური აზროვნებისა. დარწმუნებუ-ლი ვარ არცერთი გონიერი ადამიანი თავს არ შეიწუხებს იმ ბოლოათა კითხვით, რა-იცა ართმელაძეს ენაზე მოსდომია, ხო-ლო „ცოდნის“ მაღაზის გამოუცია და მე კი ვალდებულ-იძულებული ვარ, რო-გორც ისტორიკოსი, ვიქექო ამ ჭია-ლუათა გონიერების ნაგავში... გეცოდებოდეთ მანიც ჩემი მკონველებო!

ბავშობის ხანა. ტ. ართმელაძე სოფ. ნიგოითის მცხოვრებია. ის დინადა მამის ოჯახში არა უგვიანეს მეცხრამეტე საუ-კუნისა. პირველი სწავლა ოზურგეთის სამუქ. სასწ. მიიღო. ზეპირ-გადმოცემა ამბობს, რომ ბავშობის დროს ის გაცი-ლებით ნიკიერი იყო, ვიდრე დღეს არისო და ამ სასიამოვნო გარმოცემით ერთხელ კიღვე საბურდება მეცნიერი დარინის სკიმონ მკედლინისაგან მოძულებული თე-ორია, შესახებ ადამიანთა მოდგმის წა-რმოშობისა.

ხალდათობა. იუნკერთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბ-ნი ტიტე სამხე-დრო სამსახურში ჩაეწერა. იმყოფებოდა ქ. ხარიამიშვილი „ციხგაუზის“ გამგეთ (ე. ი. ეპირა შინელები). ამხანავებში იცნო-ბდენ მას, როგორც ენა ტკილსა და გულ ჩატვეულ ადამიანს, რომელსაც ძლიერ უყვარდა პრტყელ-პრტყელი სიტყვები ლაპარაკის დროს და ვიწრო სორო და-სამალვათ.

1907 წელს ის „აფსტავკაში“ გამოვი-და ავათმყოფობის*) მიზეზით და საბო-ლოოთ ჩაესახლო ს. ნიგოითში. აგრეთვე დაენიშნა 25 ქანქარი პენსია.

ტიტე მწერალი. ლიტერატურულ „ფუ-სუნსალობას“ ანუ „კია-ლუობას“ ტიტე



სოფლის „ფუსუნსალა“ ანუ „კია-ლუა“
ტიტე ართმელაძე.

იღრევე მიჰყო ხელი და თავისი უმთავ-რესი კბილები „დასელებთან“ ბრძოლას შემტერია. ტ. ართმელაძე ამგვარათ წი-ნამორბედი იყო ცნობილი ხეობელისა, ერგნელისა, კ. თუმანოვის იასე მეხუ-ლასი და სხვა რეაქციონური კია-ლუებისა და თუ ეს საზოგადოებამ ჯერაც არ იცის ჩემი მოვალეობაა გავაცნო მათ ეს მხარე ტიტეს მოღვაწეობისა.

ტიტე რეფორმატორი. ის რასა სწერს ართმელაძე თავისს უშესანიშნავეს სისუ-ლელეში.

„ჩვენისთანა ფუსუნსალებმა განვიზრახეთ წვრილმან ჩვეულებათა შემუსვრა.“ სახელდორ: „შემუსვრა 1) საურთხისა 2) საეტოლოსი 3) წი-რივისა და საწინდორის შემუვლების! 4) ალთქმისა! 5) წაბურვინი ტირილისა; მილოცვინი ქორწილისა და ს. ს.

ამით, როგორც თითონ პუბლიცისტ ფუსალსულა ამბობს, ის სოციალიზმს ამ-ყარებდა და ვინ იცის, იქნებ მართლაც და-ემყარებია სოციალიზმი ჩვენს კია-ლუა „ფუდერატიულ-აკტონომისტს“ მაგრამ სა-უბედუროთ გაუჩნდენ დასელები და კვე-ლაფერი ჩაუშალეს. ის რას შოგვითხობის თვით ტიტე:

„სწორეთ იმ დროს, როცა სოფლათ ნელ-ნე-ლა გაგვადა ის აზრი, რომ დარიბ-დატაკი გლეხისაგან ღმერთი არ საჭიროებს ძრობა და უცვარის შეწირვას მეთქი, ჩამობრძანდა ერთი თავისა და გამოიყენები არ შეეცამა ქვეყნის სა-ქე სულ სხვა გვარათ წავიდოდა, მაგრამ მუშები განა რასმე დაგიდევენ? აი მეორე მაგალითიც!“

თფილისის ქუჩაზე სწავლა დამთავრებული მეტენია და ღიღმარხებული, თავათ წითელ პროცესზე ქუ- წევენია გოჭი და მიირთვა *), სოფლები, გლუ- ხები, აზნაურები და სამღედლოება ბრაზმა მოიცა და მუშის საქციელისაგან გამოშვეული მრისხანება ნასწავლ კაცებს დაგვარუდა თავზე“.

აქედან ცხადია: მუშის (დასელის) რომ შემწვარი გოჭი არ შეექამა ქვეყნის სა-ქე სულ სხვა გვარათ წავიდოდა, მაგრამ მუშები განა რასმე დაგიდევენ? აი მეორე მაგალითიც!

როცა ექვს სოფელში საბოლოოთ უნდა გა-დაწევეტილიყო წაბურვინი ტირილის ხევ-მედი, ერთ ქალაქში ქირაზედ მყაფ ვაებარონის ჩაგო-ნებით, ორმა სოფლებში ახალგაზედება უთხრეს მეზობელს, რომ ღმერთი თურმე არა ყოფილია... რასაც შედეგათ ის მოპყვა. რომ ეს ირი ყმა-წვილი ხალხმა ეგრედ წოდებულ „პრიგოვონში“ ჩაგდოდ და მეორეთ, წაბურვინი ტირილის შე-სახებ ყრილობა აღარ შესდგა. საქმე ამითაც არ გათვალისწინება: ჩვენს წინანდელ გაპირება-დარიგებას ხალხმა ახლა ასეთი კუდი მოახას: ართ—ძე ვე-პირდება: როცა ვინმე მოგიკვდეს ოჯახში, მოა-ბი ფეხზედ ღოვეკი და ისე გადათრიე სასაფლა-ობები!.. არც ღმერთი, არც მდვდელი, არც სახარებაო და სხვ...“

რაც უნდა ნიკიერი იყოს ადამიანი თუ ასე შეუშლიან ხელს მუშები, აბა საიდან მოახერხებს სოციალიზმის დამყარებას და ხელის შეშლა ერთი და ორი ხომ არ ყო-ფილია? აი მესამეც:

„ქალაქში მზარეულათ მყოფი ვაებარონი ჩა- მობრძანდა სოფელში და რომ თავი ყველაზე უფრო მცირებულ გამოეხინა, უქმე და და და და ბოსტრანის თოხნა. რასაც შედეგათ ერთი ფრიად სასარგებლო მასწავლებლის-სოფლისგან გადავა- მოჰყვა!.. მიზეზი?—მიზეზი ის იყო, რომ იმან, ალდეომა დღეს, თავისი ხელით გაშენებულ ბოსტ- რანში, სეირხობის ტრია, ქრისტი მიზი ტყის ბალანი შეამნია უალაგო-ალაგას და თავის ხე- ლით მოსთხარა!!!“

ძლიერ შემცდარი იქნება მეიოხეველი თუ იფიქრებს, თითქო ამით თავდებოდეს ტიტე ფუსუნსალის უმეცარ შემოქმე- დობა. როგორც ზღვაში ქვიშა არ და- ითლება ისე ტიტეს ცხოვრებაში ქარა- ფშეტობანი. მაგრამ უმჯობესია ახლა მის პრაქტიკულ ფუსუნსალობაზე ვილაპარა- კოთ.

„ხოფლის მუშათა კაეშირი“ სოფ- ლიდ მობრუნებულმა ტიტემ შეადგინა კა- ვშირი ასოციალის მუშათა,“ სადაც მოიწ- ვია ქია-ლუანი სრულიად ნიგოითისა. იყი- დეს გუთნები, უდღები, კებები და შე- უდგენ სოფლის აშენებას, მაგრამ არა თუ ახლის აშენება, ძველიც დაენგრათ. შეს- კამეს რაც შესაქმელი გააჩნდათ და კავ- შირიც დაიშალა.

დახევნა. სრულიად დაიმედებული, რომ თქვენ უკვე იცნობთ ბ-ნ ტიტე შეადგინა კა- ვშირის შემთხვევაში იცნობთ ცხოვრებას, როგორც ტიტეს ცხოვრებაში ასუ- სუნსალის უშესებრების მეტენია. მაგრამ უმჯობესია ახლა მის პრაქტიკულ ფუსუნსალობაზე ვილაპარა- კოთ.

იხტორიკოსი.

*) იმ საშინელებაები!! ეშმაკი.

მესტვირული

სოფელში ვარ, ქალაქურად
ვერ ვიშოვნე სტვირი, გუდა,
მაგრამ როგორც გამეწყობა
მოვინდომებ რა თქმა უნდა.

საყველივროთ მოვიმზადე
მეზაზანდრეს რაც კი უნდა
და ჩვებერავ ნელა, ნელა
თუ ლექსი არ გამიხუნდა

ჩალამ კალმის გავაკეთე
მე პატარა სალამური
თუმც არ არის ძლიერ კარგი
ხმა მაინც აქვს საამური

ნიგოითელ ფედერალებს
ლექსი მინდა უთხრა ძმური,
ნათელში გამოვიტანო
მათი საქმე „საქებური.“

ჯერ „ბელალი“ აზავერი*)
პირველად გვყავს შესაქები,
პირადობას ვერიდებით
ფსევდონიმებს შევეხები.

„გურული ყანის მუშა“
თუმც არ ვიცით მისი ხნული...
„მართლის“ მთქმელსაც ხშირად ირ-
ქვეს

თუმცა უყვარს უფრო ტყული.

(ჩიხაოში მსახურებდა
იყო დიდად მიღებული
და მუნითგან ნიმასქნი
ქვიანშია გაყიდული.)

წიგნაკებიც ბევრი წერა
„მეურნე“ და „კრიტიკული“
და ერთი წრეც გააკეთა
ფედერალათ წოდებული.

„ყანის მუშათა კავშირი
ქვიანში ყავს არსებული
შეძენილი იარაღით
პარვალი აქვს გამსებული

*) სამხედრო პირს ნიშნავს.

საზარელო სიზმარი

ორთოზრდისტისა.

(რუსულიდან)

მიიღო „ოქტომბრისტე“ მსუბუქი ვახშამი:
ერთი პატარა გოჭი, გირვანქა ორაგული ხრენი-
თა და მიწვა მისაძინებლით!..

დაწვა ოქტომბრისტი მაგრამ ძილი არ მოდის...
მოაგონდა მას მთელი მისი უაზრო წარსული;
გაახსენდა თავისი ხლუნგი, ათასგარი წერილ-
მანებითა და სიცრუვე-თვალთმაკარი მისი აღსავს
ცხოვრება, რომელიც ბაგჟირიდანვე თან სდევ-
და და რომელმაც ამ უკანასკნელ გათასსირებამ-
დე, „ოქტომბრისტობამდე“ ჩამოაქვეითა მისი
არსებობა... გაახსენდა ყველივე! ესა და კინალამ
დაიკრემლა მისი მსუბუქი ღიღაბი.

მაგრამ საიდანაც იყო სწორეთ ამ დროს გაჩნ-
და გლეხი... გარუჯული, ხმელ-ხმელი და ტალა-
ხიანი. წავლო ოქტომბრისტს ყურული და კარ-
ძილი ხელები და უთხრა:

— წავიდეთ შე საძაგლო!

და წაათრია ზიშისაგან გულ შელონებული
ოქტომბრისტი:

—

(თუმცა უხლა იმ „კავშირში“

მარტო ძალა ყავს დარჩენილი)
ყანის ბიქებს წერილს სწერდა
ქუთათურსა „შრომაშია“
მაგრამ იქაც, როგორც სხვაგან
კოვზი დარჩა ნაცარშია.

„ნიშადურშიც“ ჩაებარგა
აგი ტაუილების გუდა
და მას შემდეგ როგორც ვიცით
„სავაჭრო გზას“ მოუბრუნდა.

(მაგრამ არა ეშველა რა
კავშირი არ გამობრუნდა
მერე ნიშადურიშვილში
დურმიშნინდას მოუბრუნდა.)

„ცილინდრიან“ შავგრემანი
ეს ვინ არის? თედო აღა!!
ერევნიდან „მოტანილი“
მანაც ბევრი გაასალა.

მო, მაკარიც მოვისენოთ
მოვსცოთ, ენა ტანისა
ნიგოითელ ტელეგრაფისტს
გაზეთების პარიასა,
და გუნიას კორესპოდენტს
დურმიშნულის წერიასა
(თუ გინდ ამით დაგვემდუროს
თვე არტყას კერიასა).

ეხლა შევსწავეტ თორემ პაწა
დეისტურა ჩემი გუდა
და პატარა სალამურიც
მეტი შრომით გოორგულდა.

— ელო.



მოექცა თუ არა სოფელში, უწინარეს ყოვ-
ლისა ოქტომბრისტმა გადასწყვიტა გლეხ-კაცთა
ძწრე ცხოვრების შემსუბუქება. მსწრაფლ მოა-
გროვა რამდენიმე ჩაგლეჯილი გლეხი და გამარ-
თა მათანა მამაშვილური საუბარი.

— აბა, ყმაშვილებო, აბა მოთხარით პიტნას
თესავთ თქვენ? გრცილით პიტნის დათესა?

— პიტნა აბა რა ჩეკენი საქმეა ბატონი!

— ა-ა-ო! აი საქმე რაშია! საჭიროა ბენდ
ხალხი ცოდნა, კულტურა და სხვა რამებიც
შემოვიდეს, სხვაფრივ არ ეშველება. მაშ აი დას-
თესეთ პიტნა!

ოქტომბრისტმა ჩაიყო ჯიბეში ხელი, დიდის
გაჭირებით მონახა რამდენიმე პიტნის კამფეტი,
რომელსაც სიმთხვალის შემდეგ მადის გასაწმენ-
დათ პიტნი იდებდა ხოლმე და გლეხებს გადასცა

სათესლეთ.

— აი თქვენ. დასთესეთ, პოეტის თქმისა არ
იყოს, კეთელი, გონიერი და საუცუნო პიტნა!!

დასთესეს გლეხებმა პიტნის კამფეტები! წერილ-
წადი სისავალიანი დარჩა და ნორჩი ბუჩქარები
პიტნისა კამფეტის კოლოფებით დაიყურსა.

მაგრამ კეთილი გული ოქტომბრისტია კვა-

ლათ გლეხთა თანაგრძნობით იწოდა.

ფოთი. ვერ წარმოშიდებენია, ბ. ეშმაკო,
თუ რა ამბები ხოება ამ დასაშვავებელ
ფოთში. დღე არ გავა ისე, რომ „ვირე-
ბის აბანოში“*) ათა-ხუთმეტი მაინც არ
მიიწყინ. — რისთვისამ იკითხავ აღმას.
იმიტომ, რომ საჩინოს 25 წლის „იუბი-
ლეი“ აღსრულებულია ამ 1909 წ. და
ფოთის პატივცემულ საზოგადოებას არა-
ვითარი ყურადღება არ მიუქცევია ასეთ
დიალი მოლვაწის მოლვაწეობისათვეს და
ახლა კი იმულებული გამხდარა საზოგა-
დოება თვითონ მიპატიეოს და რიგიანა-
თაც გაუმასპინძლდეს.

არც ჩინვანიკი ცალხელია ჩამორჩება
საჩინოს! ამბობენ, „ის საჩინომ გამოზარ-
და დასრულებულია დასხელოვნება“.
ქალაქში ხშირათ წაწყდებით მაგათაღმი
მიმართულ ორ სამ სიყვარულის კუპ-
ლეტი:

„მეიმასქნე“ პოლიციის
ხეტიალობს დღე და ღამე
თუ წაგიწყდა იგი საღმე
და ქანქარით არ აამე,
მაშინ ვერები ვერ გიშველის.
თუნდა გახლდეს თან ეშმაკი!
გვიყვირს, როგორ „გამდლებმირდა“
ეს ხალ-ცელა ეს გლოხაკი!-ო.

„უდივილესი“ როგორ დაუშინებია
ამ კაცს ფოთელები. — თითქმის ეშმაკიც
კი ვერას გახლდება მასთანათ. მე მგონია,
ბ. ეშმაკო, რომ, არ მოითმენთ ასეთ
შეურაცყოფას და გაუმასპინძლდებით.

საჩინოს კი უულ სხვა ხმით ამკობენ
ფოთელები. აღმას მეტი ღვაწლი
მიუძღვის:

„ტანათ აღვას-ხე საჩინოს
თუმც გაერია წალარა,

*) სახელწოდება პატრონისაგან წარმოს-
დგება.

— რა ვქნა, რით დავეხმარო კიდევ ამ საცო-
დავებს?..

დაიბარა და ემუსაიფა.

— გამიგონეთ, ყმაშვილებო! აბა. მითხარით
მატყლი, გაპერტილი მატყლი დაგითესიათ?
გლეხებს მწარეთ ჩაეცინათ.

— მატყლის დათესებს აბა ჩეკენ გვასწავლიდა.
ოქტომბრისტმა თავისუფლათ ამოისუნთქა! გა-

მოიძრო ყურიდან ბამბასავით თეთრი და რბილი
მატყლი, გადასცა გლეხს და მედილურათ უბრ-
ძანა:

— აი წაიღეთ, დასთესეთ ეს მატყლი და მად-
ლობას გეტევის თქვენ მაღლიერი რუსის ხალხი.

მატყლი მოვიდა, მაგრამ რა მატყლი მოვიდა!!
მინდვრები ერთიან გადათეთრდა და რბილი მა-
ტყლით შეძუღდრა.

შემდეგ ამისა ოქტომბრისტის გულ-უხობამ
უმეტეს გაშალა ფრთები. მთელი სათუთუნე ხე-
ლებზე გადმოურეება და სათესლეთ გაატანა, არ
დაიმუშრა და ძეირფასი ფოლაქებიც გლეხთა კე-
თილ-დღეობას შესწირა სათესლეთ, თუმც ამ
მსვერპლის შემდეგ შარვალს ხელით და იჭრდა.

სამაგიეროთ განიხარებდა გული მისი.

ოქტომბრისტის ერთი ქოლგაც ჰქონდა. მეტა



გაგრამ კვლავ „მეიმაქნურათ“
სტენს ფოთში მისი ნაღარა.

არავის ინდობს ამ ქვეყნათ
არც მტერს და არც მოყვარეს
ვისაცა ლამე შეხვდება
„ვინის აბინის“ აბარებს!..

არა შედრკება ჭაღარა,
კვლავ დაატებობს იქ არეს.
და მისი მოქმედებითა
მრავალსაც დაასამარებს-ო...

ამ უკანასკნელს გთხოვ თვითონ ეშმა-
კო უქნათ განმარტება, თორებ ერთს რო
გადაურჩე, მეორეს ბრჭყალებს მაინც ვე-
რამ ავტობი.

წა ფოთიანცი.

ხონი. საკვირველი ვაჟებია
ხონის ვაჭრუკანებიო:
ყველას უყვარს ლვინო, კარტი,
კამათელი, ქალებიო.
თეატრიც სულს ურჩევნიათ,
თანაც ბიბლიოთეკაო,
ფულებს ბეირივით აყრიან,
ვინ შეედრებით ნეტაო?
ამ ბოლოს კუდაც აბზეკენ:
მოყავთ ავტომობილიო,
რკინის გზასაც გამოუყვანი
ივანიკა ძმობილიო.

„ვოროდობასაც“ უშოვის
თავის სააპეკუნოს;
(რისაც ვამბობ მართალია
ჭორები არ ჩეგონოს!)
ცხენის წყალზე ხიდისაც გადებს,
ვინ დაუღებდა წინაო?..
(პროექტების უკეთ მწერი
ღმერთმაც კი შეარცხვინო).
(საქალებო გიმნაზიას
აავსებს „უჩიტლებითა“
რა ვუყოთ თუ სწავლის საქმე
წელს მიღიოდა კლებითო!

ემნელებოდა მას ქოლგის განმორება, მაგრამ
მოვალეობა ხომ პირველი საქმეა.

გამეტა ქოლგაც!

— გამიგონეთ, ყაშვილებო! აი წაიღეთ ქოლ-
გა, დასთესთ. ჩამოშორდით მაცდურებს უსაქმუ-
ებს, ნე უჯერით იმათ ლაპარაკს. ზრომა, ეს
შველმოქმედება! დასთესთ ქოლგები!

— მიწა აღარა გვაქეს ბატონო, გამოტყდენ
კლები. უკანასკნელ ნაკვეთზე ფოლაქები დავ-
იხსეთ.

ოქტომბრისტმა წარბი შეიკრა.

— აი, ბუნტიც დაიწყეს!.. მითხარით თითოს
ამდენი ააქვთ მიწა?

— ორ-ორი დესერინა ბატონი, მზოლოთ ორ-
ორი.

მძიმეთ დაუფიქრდა ოქტომბრისტი ამ კითხვას,
ამეთუ გულითა სურდა გლეხების დახმარება.

— თქენ ამბობთ ორ-ორი დესერინაო, მაგრამ
რთი ამისენით ეს რამდენი ფუთი მიწა იქნება?
გლეხებმა, როგორც შეეძლოთ, აუსწენს, რომ
წას ფუთობით კი არა სივრცით ზომავნ.

— რას ამბობ კაცო! ერთი შეხვდეთ ეგ რა
სხერხებული კაცები ყოფილხართ. ამ მოვონებაც
ასა ჰქვიან! რამდენი სუენია დესიატინაში?

— 2400.

მაგივრათ ქანქარს იღებდა
უკლებლად „ჩვენი მათეო“
(იქნება არც ხელს აკლებდა
ივანეს ჯიბე, ფართეო?!!)
ეშმაკუნა.

დ. ონი. (რაჭა) აქ ხმა გავრცელდა:
სათაობიროში პურიშვევის შეკითხვა შე-
უტანია იმის შესახებ, თუ „ვისაც მეტი
ლანძლება-გინება შეუძლია რამდენიმე „სპა-
სობია“ დაუნიშნოთ“. ონში იმედი აქვთ
პურიშვევის „სპასობია“, პირველით ივანე
ჯანუაშვილს დაქნიშნებაო!

— ამ მოკლე დროში ხდება საჯარო
გაჭრობა: ონის კლუბის პატრონი ან.
ჩალაძე, გაძყიდის წასული წლის ნათ-
მაშევ ბანქოს, რომელიც დაახლოვებით
სამიოდ ურმი გამოვა.

— აკავის იუბილეს მეორე დღეს ონე-
ლი ვაჭრები ერთმანეთს ეკითხებოდენ:
ეს აკავი ჩეტა ვიცოდეთ ატუკატია თუ
ინჯინერიო.

— ამბათაც არ გაგონილა რაც ონში
ინტელიგენტი ყოფილან. აკავის იუბი-
ლებიზე ონელებმა 40 რეფერატი წაიკით-
ხეს აკავის პოეზიაზე და 60 სიტყვა წარ-
მოსთვეს.

იქიდანვე.

სწავლა ცოდნით დარჩენილი
ისე არვინ იყოს მგონი,
როგორც არი ჩვენი დაბა—
რაჭის ცენტრია, დიდი ონი.

ორ-კლასიან სასწავლებლით
არის ონი კმაყოფილი,
ყველების დარჩება
მათვის. არის უცხო ხილი.

ძლივს ძლივობით დაარსეს
ონში ერთი სამკითხველო,
უსალსრობით სულსა დაფავს,
გაიტანეს ვითოშც ლელო.

— აჲთო! ეს თითქმის წუთი ვერსის სიგრძეა
და თუ თითო გლეხს ორ-ორი დესიატინაც აქვს,
მაშინ ხომ ათი ვერსი გამოვა და ნუთუ ესეც
ცორა!

ოქტომბრისტი განრისხდა.

— გრცვენორაეთ, ყაშვილებო, გრცვენორაეთ!
თქენ ალბათ მუდამ ლოთობასა და უსაქმობაზი
ატარებთ დროს. გრცვენორაეთ გრცვენორაეთ!..

ზარცვენილმა გლეხებმა კვლავ მოიკრიბეს
ძალ ღონე და განუმარტეს ოქტომბრისტს საქმის
ნამდგილი გითარება.

— აჲთაა! მაშ ეგრე ანგარიში არ შეიძლება?
კარგი.. ძალიან კარვი! მე მოვიფიქრები..

და მართლაც მოიგონა ოქტომბრისტმა გერია-
ლური პასუხი.

— თექვსმეტ-თექვსმეტი დესიატინა თითოე-
ულს ხომ გეყიფათ?

გლეხებმა თვალები უაქყირება.

— თავზე საყრელათ ჩვენო იქდო!

— ძალიან კარგი! მაშასადამე დღეიდან თქვენ
უნდა იანგარიშოთ დესიატინაში არა 2400 ოთხ-
კუთხი საუენი. არამედ მზოლო 300. ამგარათ
ორი დესიატინის მაგივრათ თექვსმეტი გაგი-
დებათ.

აღტაცემული გლეხები ოქტომბრისტს მუხ-
ლებზე მოენევნენ.

ეურნალი და გაზეთები ეროვნული
სტოლზე ყრია დაუჭრელი,
სხანს რომ ინათ წასაკითხათ
ველარავინ ახლო ხელი.

ონში ბლობმათ ბრძანდებიან
აზნაური და ვაჭრი,
არვინ ეძებს უურნალ-გაზეთს,
თუ ჯიბეში აქვთ ქანქარი.

მაშინათვე კლუბში წავლენ
იძახიან ფრაპ, ბაქარა,
საქმიანი და უსაქმო
კარტის თამაშობს წარა-მარა.

ზოგჯერ კლუბსაც გვერდს უვლიან
ჩაჯდებიან ტრიკებს შუა,
მანამდი სმენ ტკბილ ნუნუას
სანამ დაელევათ ჭკუა.

ასეთია ონის საქმე,
ასეთია აქ გართობა!..
კარტი, ტრიკი, გამოთრობა,
უცენზურო კამათობა.

შხამი.

სადგური მუხიანი. „მოკრივეთა“ ჯგუ-
ფმა მოწოდება გამოუშვა, რომლითაც
სთხოვენ ყველას დროზე ჯგუფში ჩა-
წერას, რომ შეერთებული ძალით მოს-
პონ ვიღაც ლაწირაკებისაგან მოგონილი
კულტურული დაწესებულებანი. ამის თა-
ობაზე ღილი ღილი დებატები იმართება.

ს ფაცხა-ნაუნევე. გამოიწერებს ავ-
ტომობილები, რომელთაც ებირებიან სა-
დგურ მუხიანის წალებას და შუაგულ
იარმუკაში დადგმას.

ს. ქვითირი. მუხიანს ბოიკოტი გამოუ-
ცხადეს, რომელიც ძალაში დარჩება სა-
ნამ იქ იარსებებს რამე კულტურული და-
წესებულება.

ს. თოშევითი. ბანკის სარეციზო კო-
მისია პანლურის ცემით გამორევეს ოთა-

— განაცლობთ ჩვენო მფარველო, ჩვენო კეთი-
ლის მყოფელო.

გადასჭრა რა მწვავე საკითხი მიწისა, ოქტომ-
ბრისტის თავისუფლად ამოისუნთქა.

თავისი სასახლის ფანჯრიდან ის ხშირათ ხე-
დავდა სოფლელთა ქალებსა და კაცებს, რომელ-
იც სუფთა და ძეირფას სამოსელში მორთულ
მოკაზმულნი, ხელი ხელ გაყრილნი სეირნობდენ
ძეირფასი ქოლგების ჩრდილოში, მამაკაცები მე-
დიდურათ ეწეოდენ ძეირფას სიგარებს, ხოლ
მანდილოსნები პიტნის კამფერებით პიტ იტკა-
რუნებდენ.

— ძილის ღრმას ოქტომბრისტს პიტირან ნერწ-
ყვის ნაკადული გადმოსდიოდა და სამური ღი-
ლილი სახეს უბრწყინებდა.

— აეროი შე ქარალ ძეპრუბანა! ალერსია-
ნათ გააღია ის საყვარელმა ცოლმა.

აქტომბრისტმა მოიწმინდა ნერწყვი, აუგა,
ტან ჩაიცა, შეიკრა ყველა ფოლაქები, ჩაიდა
ყურებში რბილი მატყლო, მოუკიდა პაპიროშს,
ჩაიყარა ჯიბეში პიტნის კამფერები, გაშალა სა-
წემიარი ქოლგა და გაემართა თავტიდის სასა-
ლისაკენ მესამე ღუმის კრებაზე დასასწრებლად.

ხიდან, რაღაც ზედა სართულში გამართულ ქედზე მონაწილეობა არ მიიღეს.

ს. საყულია. ორკლასიანი სკოლა ამ მოკლე ხანში გიმნაზიათ გადაკეთდება. საჭირო „მოკრივე“ პედაგოგები. თხოვნის შისძირთა: იარჩევა.

ს. გეგუთი. გლეხები გამალებით ყიდულობენ თ. იაშვილის ადგილებს, რაღაც ქუევას 20 კა. ყიდის.

სალო.

ოზურგეთი.

„კამპანიის“ დილიქანით თუ მიღიხართ ნატანებში, ადგილით ნუ დაენდობით ამ უკანასკნელ ხანებში.

ცალი კედარო ბორბალი რომ გადუცდეს ნაკვალევში, სამი საათი იდგებით მერიეს ნაყინებში.

გზები იღარაფერს არ გავს: ყოლგან დანგრეული ხიდე, სადაც აღმართი შევხდება დაბლა უნდა გაღმოხვდე.

ბედნიერი უნდა იყო ამ „კარეტის“ გადამკიდე: პორზემა რომ არ გავასწროს, თვის ღროზედ ჩამოხვდე.

თოლა-ბულთა.

თანილი რედაქციის მიზართ.

ბ. რედაქტორ! უმირჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ალმაზახში“ ამ საბასუხო წერილს.

ქუთაუში მღ. გაზეთ „ზანაურ საქმეების მე № 29-ში ს. ოდშეკითის მღ. რაფენგ სანებლიდა ცილს მწამებს ვითომ მე ვარ მიზეზი მის და „ეშმაკის მათრახის“ კორესპ. ბ. პუხუას შორის საქმის გაურჩევლებისა, საქმე აი რაშია. მან პურია გახაფხულზე გამოიწვია სამართალში, რაზედაც მაშინვე დაეთანხმა და კიდეც დაგვიშნა მედიატორებათ მე და მასწავლებელი ფარნაოზ ჰერვილი. ჩვენ თრჯერ სასოფლო ბანქში და ერთხელ მის სახლში მოვითხოვთ მოყვანა მედიატორები, რომ შევდგომოდით საქმეს, მარა ხან ამბობდა რა გეჩქარებათ ჩემი გაბაწვრაო, მედიატორებს გამოვცვლით, ნიღაბი აიხადოს და მაშინ მოვიყანო. ასე გვაწვალა 5 ოქტომბრაში. 5 ოქტომბერს პურიამ უკანასკნელი ვადა ერთი კვირა მიცა (მათრახი № 3.) მარა მაშინაც უარი გვითხრა. დღეს სამი თვის შემდეგ გამომდგარა და მე მოკიდინებს „შენი ბრალია, ქუთაისში 21 ოქტომბერს არ მოღით.“ საკირველია სწორეთ! ვინ დაარიშნია მას ქუთაისში საქმე, როცა მთელი მრევლი მოწმეთა დასახლებული და ქუთაისს მოუხერხებელია საქმის გარჩევა და მედიატორები, გარდა ერთისა, სოფლებია. ახლა მე

მდონია, კუვლასაფეის ცხადა შიშული მოწინადა.

მედიატორები ერთს ტო ციბაძე.

II

ბ. რ. რადგან მდვდელი სანებლიდა სა აჭიანურებს და დამაზავეთ ჩემი მდიდარები გამოყავს. წინადადებას ვაძლევ მას, დღი გაზეთში გამოცხადებისა, თრი კვირის ვალ შედგეს სამართალი და განჩინება გამოკვეყნება გაზეთებში, სხვათა შორის „შინაურ საქმეებში“ ვუჩივა.



O. I. Shalina

დილიქანით მოგზაურობა პროვინციებში.

ელექტრო-მეცნიერების ამ. „შრომა“ რუსის ქ. № 3.

А Н О Н Н А

Первоклассный

здания Артистического общества.

Ежедневно днем от 1^{1/2} ч. до 5 попол. и веч. отъ 10 ч. до 2 ч. ночи игретъ

РУМЫНСКИЙ СТРУННЫЙ ОРКЕСТРЪ

подъ управлениемъ Симеона Мафтея и при участии по вечерамъ чибицы-румынки, поющій на русскомъ, итальянскомъ, турецкомъ, греческомъ и румынскомъ языкахъ.

Е. С. П. Д. Ч. А. Е. М. Н. К.

გამოცემული ვწ. ვაითავის.